



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და ბრძანების
ნომერი: 04.12.2018 წ. ბრძანება №108

მმართველი საბჭოს დაბულება

2018 წელი

დოკუმენტის შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი	2
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება	2
მუხლი 3. საბჭოს მიზანი	3
მუხლი 4. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება	3
მუხლი 5. საბჭოს შემადგენლობა	5
მუხლი 6. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა	7
მუხლი 7. საბჭოს სხდომა	7
მუხლი 8. საბჭოს ორგანიზაციულ–ტექნიკური უზრუნველყოფა	7
მუხლი 9. საბჭოსა და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შენიშვნა	8
მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი	9

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 “მმართველი საბჭოს დებულებით” (შემდგომში - “დებულება”) რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მმართველი საბჭოს (შემდგომში - “საბჭო”) უფლებამოსილება, ფუნქციები, გადანაცვეტილების მიღების ფორმა, მუშაობის ფორმატი და შემადგენლობა.

1.2 საბჭო იქმნება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.

1.3 საბჭო, კომპეტენციის ფარგლებში, თავისი საქმიანობის განხორციელებისას, უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1 ამ დებულების მიზნებისთვის, დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაციული თანამდებობა - უნივერსიტეტის სტრუქტურის შესაბამისი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობა;

ბ) თვითმმართველობის წარმომადგენელი საბჭოს წევრი - სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე;

გ) საბჭოს ადმინისტრაციული წევრი - რექტორი, ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, ვიცე-რექტორი საგარეო ურთიერთობების მიმართულებით, ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - ფაკულტეტის დეკანები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი და იურიდიული სამსახურის უფროსი;

დ) საბჭოს აკადემიური წევრი - აფილირებული პერსონალი;

ე) საბჭოს კურსდამთავრებული წევრი - ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული;

- ვ) საბჭოს წევრი დამსაქმებელი ორგანიზაციიდან - პოტენციური დამსაქმებელი;
- ზ) სტრუქტურული ერთეული - უნივერსიტეტის სტრუქტურით გათვალისწინებული ერთეული.

მუხლი 3. საბჭოს მიზანი

3.1 საბჭოს მიზანია:

- ა) უნივერსიტეტის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება და რეკომენდაცი(ებ)ის შემუშავება;
- ბ) უნივერსიტეტის ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა, გადაწყვეტილებ(ებ)ის მიღების პროცესში საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფით.

მუხლი 4. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება

4.1 საბჭოს ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიის დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება;
- ბ) უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიის მონიტორინგის მეთოდოლოგიების განხილვა და დამტკიცება;
- გ) უნივერსიტეტის 3 წლიანი სამოქმედო და შესრულების მონიტორინგის გეგმების განხილვა და დამტკიცება;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამტკიცება, შეცვლა და გაუქმება;
- ე) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, აკადემიური/მონწეული პერსონალის კონკურსის წესით შესარჩევი კომისიის შემადგენლობის დამტკიცება;

ე) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების საკითხ(ებ)ზე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება³;

რ) კომპეტენციის ფარგლებში, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილებ(ებ)ის განხორციელება.

4.2 საბჭო უფლებამოსილია გამოსცეს სამართლებრივი აქტი - დადგენილება.

მუხლი 5. საბჭოს შემადგენლობა

5.1 საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

- ა) რექტორი;
- ბ) ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;
- გ) ვიცე-რექტორი საგარეო ურთიერთობების მიმართულებით;
- დ) ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით;
- ე) ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - ფაკულტეტის დეკანები;
- ვ) ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- ზ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- თ) იურიდიული სამსახურის უფროსი;
- ი) თითო აფილირებული აკადემიური პერსონალი შესაბამისი ფაკულტეტიდან;
- კ) თითო სტუდენტი შესაბამისი ფაკულტეტიდან;
- ლ) სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე;
- მ) ევროპის უნივერსიტეტის ერთი კურსდამთავრებული;

³ მმართველი საბჭოს განხილვას ექვემდებარება საჩივარი, რომელიც პროცედურული ხასიათისაა, ხოლო თუ დავის საგანი გადაწყვეტილებაა შინაარსობრივ საკითხ(ებ)ს ეხება, მმართველი საბჭო უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული სააპელაციო კომისია; საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს მმართველი საბჭო;

ნ) ერთი პოტენციური დამსაქმებელი.

5.2 საბჭოს შემადგენლობაში აფილირებული აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

5.3 საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტთა არჩევა ხდება მე-2 ან/და უფრო მაღალი კურსის, საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე, აქტიურ⁴ სტუდენტთაგან, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

5.4 საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის არჩევა ხდება წარმატებულ⁵ კურსდამთავრებულთაგან, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით⁶.

5.5 საბჭოს შემადგენლობაში პოტენციურ დამსაქმებელთა არჩევა ხდება შრომის ბაზარზე წარმატებული ორგანიზაციების⁷ წარმომადგენელთაგან, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით⁸.

5.6 საბჭოს შემადგენლობაში დამსაქმებელი, კურსდამთავრებული ან სტუდენტი არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული/დამხმარე/აკადემიური/მონვეული პერსონალისგან, ხოლო აფილირებული აკადემიური პერსონალი არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან.

5.7 საბჭოს სხდომაზე, ხმის უფლების გარეშე, შეიძლება მოწვეულ იქნან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მოწვეული ექსპერტები და სხვა პირები, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

⁴ კურიკულუმს გარე აქტივობებში, კონფერენციებსა და სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული სტუდენტი;

⁵ ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელიც დასაქმებულია თავისი კვალიფიკაციით;

⁶ წარდგენილი კანდიდატებიდან, რექტორი ირჩევს ერთ კურსდამთავრებულს;

⁷ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას უნივერსიტეტში არსებული პროგრამების შესაბამის შრომის ბაზარზე;

⁸ წარდგენილი კანდიდატებიდან, რექტორი ირჩევს ერთ წარმომადგენელს, პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციიდან;

მუხლი 6. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა

6.1 საბჭოს ადმინისტრაციული წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მისი იმ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადით, რომელიც ითვალისწინებს საბჭოს წევრობას.

6.2 საბჭოს აკადემიური, სტუდენტი, კურსდამთავრებული და პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციიდან წარმოდგენილი წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ერთი კალენდარული წლით.

მუხლი 7. საბჭოს სხდომა

7.1 მმართველთა საბჭო თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს საბჭოს სხდომებზე.

7.2 საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში ორჯერ.

7.3 საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი.

7.4 საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ $\frac{1}{4}$.

7.5 საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

7.6 საბჭოს ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილი საკითხი, რომლის დამტკიცების უფლებამოსილება საბჭოს არ გააჩნია, წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით.

მუხლი 8. საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკური

უზრუნველყოფა

8.1 საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საბჭოს მდივანი (შემდგომში - "მდივანი"), რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალიდან.

8.2 მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ჩატარების ორგანიზებას, საბჭოს წევრთა დროულ ინფორმირებასა და საბჭოს სხდომებზე მონაწილეთა, მათთვის დღის წესრიგის გაცნობას, საბჭოს სხდომის ოქმის შედგენასა და შენახვას.

8.3 საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი და მდივანი.

8.4 საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ დასახელებული პირი.

მუხლი 9. საბჭოსა და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

9.1 საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) უნივერსიტეტის ლიკვიდაცია;
- ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის დაკარგვა;
- გ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ცვლილება, რომელიც იწვევს მმართველი საბჭოს გაუქმებას;
- დ) შიდასაუნივერსიტეტო სამართებრივი აქტით განსაზღვრული სხვა საფუძვლები.

9.2 საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) გარდაცვალება, გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
- დ) საბჭოს სხდომების სისტემატური არასაპატიო მიზეზით გაცდენა⁹, გარდა საბჭოს ადმინისტრაციული წევრებისა;
- ე) საბჭოს ადმინისტრაციული წევრის შემთხვევაში, იმ ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც ითვალისწინებს საბჭოს წევრობას;

⁹ სემესტრში ჩატარებული სხდომების 50%-ზე მეტის გაცდენა.

- ვ) საბჭოს აკადემიური წევრის შემთხვევაში, აფილირებული სტატუსის შეწყვეტა;
 - ზ) საბჭოს სტუდენტი წევრის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტა;
 - თ) თვითმმართველობის წარმომადგენელი საბჭოს წევრის შემთხვევაში, თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა.
- 9.3 საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

10.1 დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

